Paata Koghuashvili
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
Professor at Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/ 0000-0001-6491-9460

Ramaz Otinashvili
E-mail: R. Otinashvili@gtu.ge
Professor at Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/ 0000-0002-7892-6159

CHALLENGES OF MIDDLE-CLASS FORMATION IN GEORGIA

Abstract: *At the modern stage of Georgia's development, a series of challenges have appeared, which require a complex analysis of the historical background, with the calculation of quality, transition procedures and mechanics, in order to realize the social energy of the household in a positive direction. Building materials are formed on the basis of the middle layer. In a democratic government, it comprises 70-80% of the population and has a transparent office. These are mainly entrepreneurs and intelligentsia employed in legal business, who create the so-called Protest democracy, which is "dangerous" for non-democratic government.*

It is difficult to separate the middle class by any single sign. It is necessary to introduce "integral criterion", which includes a set of quantitative and qualitative signs characteristic of the mentioned layer. Why do they live like that – do they have the appropriate professional-cultural capital and how do they use it to ensure a decent standard of living. Unfortunately, in Georgia, there is little tendency to form a capable middle class. We cannot consider the existing social structure of the population as sustainable. Civil society and democracy develop with the introduction of market institutions and healthy competition in the private sector, the conditions of which are still weak in our country.

Keywords: *civil society, state, middle class, competition, democracy.*

JEL classification: *J00, J11*

პაატა კოღუაშვილი
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/ 0000-0001-6491-9460

რამაზ ოთინაშვილი
E-mail: R. Otinashvili@gtu.ge
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/ 0000-0002-7892-6159

საშუალო ფენის ფორმირების გამოწვევები საქართველოში

აბსტრაქტი: *საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე თავი იჩინა სერიოზულმა გამოწვევებმა, რომლებიც საჭიროებენ კომპლექსურ ანალიზს, ისტორიული არსის, ხასიათის, გადასვლის პირობებისა და მექანიზმების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მოსახლეობის სოციალური ენერგიის პოზიტიური მიმართულებით რეალიზაცია. სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება საშუალო ფენის ბაზაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში იგი შეადგენს მოსახ-ლეობის 70-80% და გააჩნია გამჭვირვალე ოფიციალური შემოსავლები. ესაა ძირითადად ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენცია, რომლებიც ქმნიან ე.წ. საპროტესტო დემოკრატიას, რაც „საფრთხის შემცველია“ არადემოკრატიული ხელისუფლებისათვის.*

რთულია საშუალო ფენის გამოყოფა ერთი რომელიმე ნიშნით. საჭიროა „ინტეგრალური კრიტერიუმი“, რომელიც მოიცავს აღნიშნული ფენის მახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნიშნების ნაკრებს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორ ცხოვრობს მატერიალურად საშუალო ფენა, არამედ რატომ ცხოვრობს ასე - აქვს თუ არა შესაბამისი პროფესიულ-კულტურული კაპიტალი და როგორ იყენებს მას ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად შეინიშნება ქმედითუნარიანი საშუალო ფენის ჩამოყალიბების ტენდენცია. მოსახლეობის არსებულ სოციალურ სტრუქტუ-რას ვერ განვიხილავთ, როგორც მდგრადს. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია ვი-თარდება საბაზრო ინსტიტუტების, პირველ ყოვლისა კი ჯანსაღი კონკურენციის დანერგვით, რისი პირობებიც ჯერ-ჯერობით ჩვენთან სუსტია.

საკვანძო სიტყვები: *სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო, საშუალო ფენა, კონკურენცია, დემოკრატია.*

JEL კლასიფიკაცია: *J00, J11*

ქართულ სოციალურ ლიტერატურაში სამოქალაქო ურთიერთობების თემა არასაკმარისადაა დამუშავებული. ათწლეულების მანძილზე აღნიშნული სფერო საზოგადოებათმცოდნეობისათვის ტაბუ დადებული იყო, რისი შედეგიც გარდამავალ პერიოდში გამოვლინდა.

რეფორმების დასაწყისში დემოკრატიული ორიენტაციის ბევრი პოლიტიკოსი თვლიდა, საკმარისია დაიშალოს ტოტალიტარული სახელმწიფო, რომ ავტომატურად წარმოქმნება ღია საზოგადოება, რომელიც შექმნის სამართლებრივ სახელმწიფოს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ და რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის 200-მა წელმა უკვალოდ არ ჩაიარა. ხელი ავიღეთ ავტორიტარულ ინსტიტუტებზე, მაგრამ დავრჩით მისი პოლიტიკური კულტურის მძევალი.

ისტორიულად, ქართველი ერისთვის დამახასიათებელი იყო მაღალზნეობრივი ფასეულობები - ტოლერანტიზმი, მოყვასისადმი ერთგულება, გამტანიანობა, პატრიოტიზმი, შრომისმოყვარეობა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე კრიზისული სიტუაცია ერის წინაშე აყენებს ზოგადეროვნულ მიზანს - სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფა, რითაც დაცული იქნება თითოეული მოქალაქის უფლებები და თავისუფლება.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე თავი იჩინა სერიოზულმა გამოწვევებმა, რომლებიც საჭიროებენ კომპლექსურ ანალიზს, ისტორიული არსის, ხასიათის, გადასვლის პირობებისა და მექანიზმების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მოსახლეობის სოციალური ენერგიის პოზიტიური მიმართულებით რეალიზაცია. აღნიშნული გამოწვევებია: როგორია ქვეყნის მოსახლეობის შეხედულება საკუთარ სახელმწიფოზე და მის წინაშე მდგარ საფრთხეებზე? როგორია მოქალაქეების აზროვნებისა და სტრატეგიული ხედვის დონე. ფასეულობებისა და პრიორიტეტების სისტემა? როგორია პოლიტიკურ ასევე ბიზნეს ელიტასა და საზოგადოებას შორის დამოკიდებულება?

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ნგრევის შედეგად საქართველოში წარმოიშვა არა სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო, არამედ `ჩრდილოვანი საზოგადოება, სადაც პრივატიზირებული სახელმწიფო ემსახურება ფინანსური ოლიგარქების ინტერესებს ქვეყნის უსაფრთხოებისა და მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების უგულებელყოფით.

გარდამავალი პერიოდის უპრეცედენტო ეკონომიკურმა კრიზისმა მოსახლეობის დეზორგანიზაცია გამოიწვია. აღნიშნული უნდა გავიგოთ არა მხოლოდ, როგორც საზოგადოების უმრავლესობის გაღარიბება, არამედ თვითორგანიზაციისა და საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობების დაკარგვა.

მოუმზადებელმა რეფორმებმა, მათმა ასოციალურმა ხასიათმა გამოიწვია არა სოციალური პროტესტი, არამედ საზოგადოების გახლეჩა და დაქსაქსვა. ყველა მარტო ზრუნავს გადარჩენისთვის. საბაზრო რეფორმების დასაწყისისათვის არსებული მოსახლეობის ცხოვრების წესისა და დეფორმირებული ცნობიერების ცვლილებების პროცესი საჭიროზე გაცილებით ნელი, არადამაკმაყოფილებელი ტემპებით ხორციელდება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა კავშირში, დაწყებული საზოგადოებრივი გარდაქმნის თავდაპირველად დეკლარირებული მიზანი იყო დემოკრატიული საზოგადოებრივი ურთიერთობების და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. შედეგად, ჩამოყალიბება დაიწყო საკმაოდ მრავალრიცხოვანმა საშუალო ფენამ.

მასში შედიოდა ინტელიგენცია და მაღალკვალიფიციური მუშები, რომელთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი არ ჩამოუვარდებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისა და ბალტიის ქვეყნების მოსახლეობის პოტენციალს. თუმცა არაადეკვატური რეფორმებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის უპრეცენდენტოდ ხანგრძლივი, თითქმის ექვსწლიანი (1989-1994 წწ.) ეკონომიკური კრიზისის შედეგად საშუალო ფენა მკვეთრად შემცირდა. ამ ფენის მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა შესაბამისი სტატუსის შენარჩუნება და კიდევ უფრო ნაკლებმა - ეკონომიკურად უფრო მაღალ, შეძლებულთა და მდიდართა კატეგორიაში გადასვლა, მაშინ როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა გაუუარესდა უმრავლესობას. შესაბამისად, წინანდელი საშუალო ფენის უმრავლესობა აღმოჩნდა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებიდან გარიყული. ბევრმა დატოვა საქართველო შრომითი მიგრანტის სტატუსით. მდგომარეობას, დიდწილად თავსმოხვეული გარე აგრესიასა და ეთნოკონფლიქტების გარდა, საგრძნობლად ამძიმებდა მაშინდელი რეფორმატორების მეთოდოლოგიური შეცდომა საკუთრებითი ურთიერთობების განხილვისა მხოლოდ ეკონომიკურ სიბრტყეში.

დემოკრატიულ სახელმწიფოზე წარმატებული გადასვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი - მოსახლეობის შემოქმედებითი რესურსი, იმის ნაცვლად, რომ გამოყენებულიყო ქვეყნის საკეთილდღეოდ, მნიშვნელოვანწილად აღმოჩნდა დათრგუნული და გარიყული. ხოლო გზა სამოქალაქო საზოგადოების შექმნისკენ - „გრძელი და მიხვეულ-მოხვეული". არაბუნებრივი სოციალისტური ეკონომიკური სისტემის კრახი გარდაუვალი იყო. მაგრამ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ცივილიზებურად - სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეთნოკონფლიქტების გარეშე.

სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებას იწყებს საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის ელემენტების დანერგვასთან ერთად. თუ სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი დამოუკიდებელი ადამიანია, მისი მზიდი კონსტრუქციები - გაერთიანებები და ინსტიტუტებია, რომლებიც მოწოდებულნი არიან პიროვნების (საზოგადოების) უფლებებისა და თავისუფლებების კოლექტიური დაცვისთვის. საქართველოში ნაკლებადაა ჯანსაღი კონკურენცია. ამიტომ, სუსტია მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერება, რომელსაც დაქვეითებული, მინავლებული აქვს საერთო ინტერესების გარშემო კონსოლიდირების უნარი.

საზოგადოება იმ სახით, რომლითაც დღეს ყალიბდება, ნაკლებად უზრუნველყოფს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. არსებულმა რეალობამ, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ეკონომიკური რეფორმების არაადეკვატურობით, საზოგადოებრივ ცნობიერებაში დემოკრატიული იდეის დისკრედიტაციას შეუწყო ხელი.

მოსახლეობას გაუჩნდა აპათია და გაუცხოება სამოქალაქო აქტიურობისადმი. კრიტიკულად დაბალია ნდობა მთავრობასა და მოსახლეობას შორის. საზოგადოება ვერ ზემოქმედებს ხელისუფლებაზე და ქმნის მხოლოდ ფონს მისი "მოღვაწეობისათვის". მსგავსი საზოგადოება ადვილად იქცევა მანიპულირების ობიექტად.

საშუალო ფენის ჩამოყალიბების თავისებურებები ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება საშუალო ფენის ბაზაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში იგი შეადგენს მოსახლეობის 70-80%-ს და გააჩნია გამჭვირვალე, ოფიციალური შემოსავლები. ესაა ძირითადად ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენცია. საშუალო ფენა ქმნის ე.წ. საპროტესტო დემოკრატიას, რაც "უაღრესად საშიშია" არადემოკრატიული ხელისუფლებისათვის.

ანტიკურ სამყაროში საშუალო ფენას წარმოადგენდნენ თავისუფალი მიწათმოქმედები და ხელოსნები, რაც მაშინდელი საელმწიფო წყობის საფუძველი იყო და სხვადასხვა დროს შეადგენდა მოსახლეობის 40-60%-ს. მაგრამ შუა საუკუნეების დასაწყისში ომებისა და კონფლიქტების შედეგად საშუალო ფენა საგრძნობლად შემცირდა - 10%-მდე. ათასი წელი დასჭირდა, რომ საშუალო ფენა გაზრდილიყო 20-25%-მდე, ეს მოხდა XVII-XVIII საუკუნეებში. თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში (XIX ს.) მოსახლეობის დიფერენციაცია მდიდრებსა (კაპიტალისტებსა) და ღარიბებს (მუშა-პროლეტარიატს) შორის კვლავ გაიზარდა.

XX საუკუნეების მიჯნიდან საშუალო ფენა აშშ და დასავლეთის ქვეყნებში კვლავ იზრდება. შეფერხებები იყო მხოლოდ პირველი და მეორე მსოფლიო ომების პერიოდებში. ამავე დროს უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა აშშ, ინგლისი, ჰოლანდია, შვედეთი, სადაც საშუალო ფენა უფრო მაღალი ტემპებით იზრდებოდა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მიაღწია 50-60%, რითაც მათ საშუალება მიეცათ თითქმის 100 წელი მდგრადი განვითარების პირობებში რევოლუციების, სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების გარეშე ეცხოვრათ.

ინდუსტრიული ქვეყნების მეორე ჯგუფში შედიან: გერმანია, იტალია, იაპონია, რუსეთი, სადაც მძლავრი საშუალო ფენა, XX საუკუნის პირველ ნახევარში, ვერ შეიქმნა. მან შეადგინა მხოლოდ 20-30%. ტოტალიტარული რეჟიმების შედეგად აღნიშნულმა ქვეყნებმა მიმართეს მილიტარისტულ-კომუნისტურ-ფაშისტურ ექსპერიმენტებს, რამაც მათთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები შექმნა.

დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში საშუალო ფენის შემოსავლების სოლიდური ნაწილი ფორმირდება მათ მფლობელობაში არსებული საკუთრებიდან - უძრავი და მოძრავი ქონებიდან. მოძრავი ქონების მნიშვნელოვანი კომპონენტია ფასიანი ქაღალდები - აქციები, ობლიგაციები და ა.შ. საქართველოში საბაზრო სეგმენტის აღნიშნული სეგმენტი არაა განვითარებული, საჭიროა ხელი შეეწყოს საფონდო ბაზრის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წვრილ აქციონერთა ფენის ჩამოყალიბებას, რომლის ბირთვს საშუალო ფენა შეადგენს და ასრულებს მაკროეკონომიკური სტაბილიზატორის ფუნქციას.

საშუალო ფენის შემოსავალი გადადის როგორც დანაზოგში და ინვესტიციებში, ასევე ჩაიდება საკუთარ ბიზნესებში, ე.ი. გააჩნია შინაგანი ურთიერთშენაცვლებადობის ეფექტი. ამით საშუალო ფენა ასრულებს ერთგვარი „დამცველის“როლს მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებაში მოთხოვნასა და მიწოდებას, წარმოებასა და მოხმარებას შორის. ასევე მნიშვნელოვანია მისი როლი სოციალური დაძაბულობის განმუხტვაში.

საშუალო ფენის შეფასების მრავალი პარამეტრი არსებობს, მათგან გამოყოფენ:

- მატერიალურ-ქონებრივი მახასიათებლებს: შემოსავლების დონე და მოხმარების სტრუქტურა. ქონების ფლობა, ფულადი დაზოგვის შესაძლებლობა;
- პროფესიონალურ-კვალიფიკაციური მახასიათებლები და სოციალური თვითიდენტიფიკაცია:განსწავლულობის (განსაკუთრებით საზოგადოებრივი განათლების) ხარისხი, მსოფლმხედველობა, ფასეულობების სტრუქტურა, ცხოვრების წესი (სტანდარტი);
- თვითდამკვიდრების (საკუთარი უფლებების დაცვა, სოციალური პროტესტის გამოხატვა) შესაძლებლობები. ზოგიერთი ექსპერტი გამოყოფს საშუალო ფენის მნიშვნელოვან ნიშანს - წარმატებულობას. ასევე, სახელმწიფოსათვის გადასახადების გადახდას და კონტროლს მათ მიზანმიმართულ ხარჯვაზე.

ავტორთა ჯგუფი საშუალო ფენას მიაკუთვნეს მათ, ვისაც უკავია შუალედური მდგომარეობა საზოგადოების სოციალურ ვერტიკალში შემდეგ პოზიციებზე:
1. ოჯახური ბიუჯეტის სიდიდე;
2. კმაყოფილება მატერიალური მდგომარეობით;
3. თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობები;

თანამედროვე გამოკვლევებით მიჩნეულია, რომ ქვეყანაში სადაც ერთ სულზე მშპ-ს სიდიდე 8 ათას აშშ დოლარზე ნაკლებია, რთულია აშენდეს დემოკრატიული ინსტიტუტები. ხოლო თუ 20 ათასზე მეტი - ვერ იქნება არადემოკრატიული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2023 წელს 8219 აშშ დოლარი შეადგინა.

დემოკრატიული საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი - საშუალო ფენა გამოირჩევა არა მხოლოდ რაოდენობრივი მრავალრიცხოვნებით, არამედ სპეციფიკური მახასიათებლებით, რაც მას განასხვავებს ქვეყნის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან.

საშუალო ფენა სახელმწიფოში ქმნის მასიურ მოთხოვნას და უზრუნველყოფს ქვეყანას სტაბილური საგადასახადო შემოსავლებით. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადზე მოდის მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 40%, რომელსაც ძირითადად მოსახლეობის საშუალო ფენა იხდის. ასევე გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს იხდიან მცირე მეწარმეები - მოგების, სოციალური, ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადების სახით. ჯამში, საგადასახადო შემოსავლების 80%-ს იხდის საშუალო ფენა.

საზოგადოების ის ნაწილი, ვინც პროფესიონალი სპორტსმენის მსგავსად, მუდმივად არ მუშაობს საკუთარ თავზე და ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს, ჩამორჩება კონკურენციულ ბრძოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზარზე. შედეგად, ე.წ. "ტრადიციული (ძველი) საშუალო ფენის" როგორც შრომის ბაზარზე მაღალი მოთხოვნილების მქონე თანამშრომლის ფასეულობა თანდათან მცირდება.

თანამედროვე სპეციალისტს უნდა გააჩნდეს ცოდნის ფართო სპექტრი, მულტიდისციპლინარული საქმიანობისა და ექსპერტიზის უნარი. საკუთარ თავზე რეგულარული მუშაობით უნდა რეგულარულად შეიძინოს ახალი ცოდნა და კომპეტენცია. აღჭურვილი იყოს პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. ესმოდეს თუ როგორ გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.

დასავლურ სოციალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია "ახალი საშუალო ფენისადმი" (ინფორმაციული მწარმოებლებისადმი) კუთვნილების შემდეგი ძირითადი ასპექტები:
- განსხვავება განათლების ხარისხსა და რეალურ ინტელექტუალურ კაპიტალში. პირველად ისტორიაში უთანასწორობას ბადებს იმ ადამიანთა პირადი თვისებები, რომლებიც განსხვავდებიან ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობით და შესაძლებლობით მისი ეფექტური გამოყენებისადმი. ინფორმაციულ უთანასწორობას განსაზღვრავს, როგორც განსხვავება 25-30 განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ე.წ. „ოქროს მილიარდს" და დანარჩენ კაცობრიობას შორის, ისე გაზრდილი წინააღმდეგობა თავად „ოქროს მილიარდის" შიგნით.
- გამოიკვეთა IT სფეროში დასაქმებულების სპეციფიკური პოზიციები და ნიშნები შრომით ურთიერთობათა სისტემაში;

- IT სფეროს საქმიანობის ხასიათის (შინაარსის) სპეციფიკური ნიშნები გულისხმობს მათ მობილურობას - ცვლილებისადმი მზადყოფნას, ავტონომიურობას, დამოუკიდებლობასა და შედეგების პროგნოზირებას.

IT თანამშრომელი განსხვავება ჩვეულებრივი სპეციალისტისგან სპეციფიკური ნიშნებით. აღნიშნული მას ხდის განსაკუთრებულად ღირებულს ფირმისათვის, ქვეყნისათვის და შრომის საერთაშორისო ბაზრისათვის.

დემოკრატია აღიარებულია ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარების აუცილებელ პირობად. გაგვიჭირდება, დავასახელოთ თუნდაც ერთი ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მდიდარი და წარმატებული არ იყოს. დემოკრატიულ ფასეულობებს ყველაზე უკეთ ითვისებს და მათ გენერირებას საუკეთესოდ ახდენს - საშუალო ფენა.

შეუძლებელია საშუალო ფენის გამოყოფა ერთი რომელიმე ნიშნით. საჭიროა შემოვიღოთ "ინტეგრალური კრიტერიუმი", რომელიც მოიცავს აღნიშნული ფენის მახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ნიშნების ნაკრებს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ როგორ ცხოვრობს მატერიალურად საშუალო ფენა. არამედ, რატომ ცხოვრობს ასე - აქვს თუ არა შესაბამისი პროფესიულ-კულტურული კაპიტალი და როგორ იყენებს მას ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველსაყოფად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს საშუალო ფენის საფუძველზე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას უნდა შეადგენდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ არ შეინიშნება ქმედითუნარიანი აღნიშული ფენის ჩამოყალიბების ტენდენცია.

ბევრის აზრით, საშუალო ფენა საქართველოში არ არსებობს. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ საქართველოში საშუალო ფენა არსებობს. ამას ადასტურებს რეალური ცხოვრება - პრესტიჟული ავტოტრანსპორტით გადატვირთულია გზები, იხსნება ახალი ბიზნეს-ობიექტები, სუპერმარკეტები, რესტორნები. მაღალია საქონელბრუნვის მოცულობა და ფასები ვაჭრობის სხვადასხვა სფეროებში და ა.შ. მაგრამ მთავარია, თუ რა წყაროებიდან ღებულობს მოსახლეობის მხარჯველი ნაწილი შემოსავლებს.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს შემდეგ სურათს:
- მდიდრები შეადგენენ მოსახლეობის 4-5%-ს. ესაა უმაღლესი რანგის პოლიტიკური და ბიზნეს-ელიტა და მსხვილი მესაკუთრეები;
- საშუალო ფენა შეადგენს მოსახლეობის 40-45%-ს. პირობითად დღევანდელი საშუალო ფენა ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველი ჯგუფი ესაა ლეგალური შემოსავლების მქონე საშუალო ფენა, რომელიც მოსახლეობის 20-25%-ს შეადგენს. აღნიშნული ნაწილი, ძირითადად, დასაქმებულია პრესტიჟულ, მაღალანაზღაურებად საჯარო სამსახურებში. საერთაშორისო ორგანიზაციებში, ძალოვან სტრუქტურებში, ბანკებში, IT კომპანიებში და ა.შ. მათი რაოდენობა სამწუხაროდ ნაკლებია ოპტიმალურ დონეზე. შედეგად, ისინი ვერ ქმნიან ჯანსაღ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში.

მეორე ჯგუფი ე.წ. "ჩრდილოვანი საშუალო ფენა". ესაა მოსახლეობის ასევე დაახლოებით 20%, რომლის შემოსავლები ძირითადად არალეგალურია. არალეგალური არ ნიშნავს კრიმინალურს. არაოფიციალური შემოსავლების მიღება საქართველოში შესაძლებელია: ხელოსნობით, რეპეტიტორობით, ბინის გაქირავებით, საოჯახო მიკრო

ბიზნესით და ა.შ. მცირე ნაწილს შესაძლებელია ჰქონდეს კრიმინალური შემოსავლებიც. სხვადასხვა მაქინაციები, ფალსიფიკაცია, ქურდობა, გამოძალვა და ა.შ.

თანამედროვე გამოკვლევებით საშუალო ფენას განეკუთვნება ოჯახი, რომელიც ფლობს ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის 30-40 წლის ეკვივალენტურ საკუთრებას. ეს შეიძლება იყოს: უძრავი ქონება და კომერციული ფართი. მოძრავი ქონება, პირველ რიგში - აქციები. თანამედროვე ავტომანქანა და გრძელვადიანი მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკის სრული ნაკრები და ა.შ.

საქართველოში არსებული ცხოვრების სტანდარტის გათვალისწინებით ასეთი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს 1 სულზე 4000-5000 ლარს, ხოლო ოთხსულიან ოჯახზე 12000-14000 ლარს. წლიურად 1 ერთ სულზე შემოსავალი გამოდის არანაკლებ 50 000 ლარისა, ხოლო ოჯახზე 150 000 ლარი. მსგავსი შემოსავლებისა და შესაბამისი საკუთრების მქონე ოჯახი ყოველთვის დაინტერესებულია ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებით.

მრავალრიცხოვანი, ლეგალური შემოსავლების მქონე საშუალო ფენა ქმნის ე.წ. `საპროტესტო დემოკრატიას~, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უაღრესად `საშიშია~ არადემოკრატიული ხელისუფლებისთვის.

ღარიბები. სამწუხაროდ, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს 50%-ს შეადგენს. მათ რიცხვს განეკუთვნება: სამეცნიერო ინტელიგენცია და სოციალურად დაუცველი ფენა - პენსიონერები, დევნილები, ინვალიდები და ა.შ. მოსახლეობა, რომლის შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ნაკლებია მოკლებულია რეალობის ადეკვატური აღქმის უნარს.

საქართველოს მოსახლეობის ზემოთაღნიშნულ სოციალურ სტრუქტურას ვერ განვიხილავთ, როგორც მდგრადს. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, დემოკრატიულ სახელმწიფოში საშუალო ფენა შეადგენს მოსახლეობის 70-80%. მდიდრები და ღარიბები კი 10-20%-ს, რომლებსაც ექნებათ გამჭვირვალე, ოფიციალური შემოსავალი. ეს უნდა იყოს, ძირითადად, ლეგალურ ბიზნესში დასაქმებული მეწარმეები და ინტელიგენცია.

საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, საშუალო ფენა რაოდენობრივად მცირეა და მათი უმრავლესობის შემოსავლები არაოფიციალურია. უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების ეს ნაწილი რეალურად ვერ უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. შედეგად, დღეს საქართველოში არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი კულტურა. დაბალია კოლექტიური ცნობიერება. არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულებაში იგრძნობა ეჭვი და უნდობლობა. ხელისუფლებაც ნაკლებად უწევს ანგარიშს ამგვარ გაერთიანებებს.

არსებული კავშირები: პროფკავშირები, გადამხდელთა, მეწარმეთა და ა.შ. ნაკლებად ქმედითუნარიანია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი არსებობენ (ან შექმნეს) იმიტომ, რომ მსგავსი რამ ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა არსებობდეს. როდესაც არასამთავრებო ორგანიზაციები ფინანსდება "ზემოდან" და საერთაშორისო გრანტების განაწილება ხდება სუბიექტურად, ჩნდება ეჭვი, რომ მსგავსი არასამთავრებო ინსტიტუტები რეალურად არ უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას. თუმცა აღნიშნული არ ეხება ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელთა შორის ნამდვილად არიან ჭეშმარიტი გაერთიანებები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია ვითარდება საბაზრო ინსტიტუტების, პირველ ყოვლისა კი ჯანსაღი კონკურენციის დანერგვით, რისი პირობებიც ჯერ-ჯერობით ჩვენთან ძალზედ სუსტია. ოჯახური,

მეგობრული და ნათესაური კავშირებისგან განსხვავებით სადაც ურთიერთობები სტატუსურია, სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეებს აერთიანებს საერთო ინტერესები, რომლებიც მათ კონკურენციის პირობებში უნდა დაიცვან. სწორედ კონკურენცია აიძულებს მოსახლეობას დაამყაროს აუცილებელი კავშირები.

თუ ქვეყანაში არაჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური გარემოა, დაბალია მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერება, იგი ქმნის ვერტიკალურ კავშირებს. აღნიშნული ურთიერთობები რაოდენობრივად შეზღუდულია და ძირითადად არალეგალური. თუ მაღალია მოსახლეობის სამოქალაქო ცნობიერების დონე შესაბამისად ძლიერია დემოკრატიული ინსტიტუტები. მოსახლეობა ამყარებს ჰორიზონტალურ კავშირებს და მიმართავს სოციალური პროტესტის საშუალებებს, რომლის ზემოქმედების შესაძლებლობები ბევრად მაღალია.

სოციალური საპროტესტო მოძრაობა გულისხმობს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად აქტიურ ლეგიტიმურ ქმედებებს. აღნიშნული მოძრაობა მოიცავს პროტესტის სხვადასხვა ფორმებს: გაფიცვებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს, პიკეტებს, შიმშილობას, მანიფესტაციებს, კოლექტიურ მიმართვებს ხელისუფლებისადმი. ამ დროს აუცილებელია საკუთარი უფლებების ცოდნა. ისეთი მოქმედება, რომ არ დაირღვეს კონსტიტუცია და არ შეილახოს სხვათა უფლებები. აღნიშნული მოძრაობის ინიციატორი შეიძლება იყოს პროფკავშირი, არასამთავრობო ორგანიზაცია, სხვადასხვა ასოციაცია, ქარიზმატული თვისებების მქონე პიროვნება - ლიდერი და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით: "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია. განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. ეროვნული, ეთიკური და სოციალური კუთვნილებისა. წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა". მაგრამ აღნიშნულ უფლებებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჭირდება დაცვა, რისი საუკეთესო საშუალება ჰორიზონტალური კავშირების გზით გაერთიანება და საკუთარი ინტერესების დაცვაა.

საჭიროა, საკუთარი უფლებების და საერთოდ ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. მოსახლეობის საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა უნდა შექმნან ორგანიზაციული საფუძვლები მოქალაქეთა მონაწილეობისათვის სახელმწიფო მშენებლობის და მისი დემოკრატიულად მოწყობის საქმეში. როგორც ა. ტოკვილი აღნიშნავს: დემოკრატია ყველაზე უკეთესად "მუშაობს", როცა ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ ვრცელდება. ხოლო ფ. ფუკუიამას მიხედვით: ყველაფერი ბოლოს თვითმმართველობამდე დაიყვანება. თუ მოქალაქეებს შესწევთ უნარი საწარმოებში, უნივერსიტეტებში და სხვაგან "მიხედონ საკუთარ თავს". ამის წარმატებით განხორციელებას სახელმწიფო დონეზეც მოახერხებენ.

აღნიშნული გზით უნდა შეიქმნას რეალური არჩევითი, არასამთავრობო, ინსტიტუტები, რომლებიც ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირების აქტიური მონაწილენი გახდებიან. მსგავსმა ინსტიტუტებმა მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახადონ საზოგადოებრივი ურთიერთობები. გავლენიანი აზრით და ჯანსაღი კონფრონტაციით საზოგადოებრივი კონტროლი დაამყარონ ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განშტოებებზე. სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებასთან დიალო-

გის აქტიური წევრი უნდა გახდეს და მონაწილეობდეს, როგორც წარმომადგენლობით დემოკრატიაში (რეგულარული არჩევნების გზით, ხელისუფლების ჩამოყალიბება), ისე ქვეყნის დემოკრატიზაციაში ხელისუფლებასთან მუდმივი დიალოგის გზით.

თუ გადავხედავთ დემოკრატიული ქვეყნების მიერ განვლილ გზას სხვებიც აღმოჩენილან განვითარების ისტორიულ მონაკვეთებში არანაკლებ მძიმე ვითარებაში, მაგრამ დროთა განმავლობაში მოუხერხებიათ კრიზისის დაძლევა და დაბრუნებიან ნორმალური განვითარების გზას. გვჯერა, რომ ავაშენებთ ნორმალური ქვეყანას, სადაც თავის სიტყვას იტყვის დემოკრატიული ფასეულობებით აღჭურვილი მრავალრიცხოვანი საშუალო ფენა.

გაეროს მიერ შემუშავებული საზოგადოების მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით - ეკონომიკური ზრდა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს პიროვნების (საზოგადოების) ფართო მასების ცხოვრების დონის ამაღლებას, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

შემოსავლების მკვეთრი უთანაბრობის შემთხვევაში, როდესაც ეროვნული ეკონომიკა მონოპოლიზებულია ხელოვნურად, ეკონომიკური ზრდის შედეგებს ძირითადად გრძნობს მოსახლეობის მდიდარი ფენა, რომლის ხელშია მაღალი შემოსავლების მიღების პრაქტიკული ბერკეტები - კერძო საკუთრება, მაღალი თანამდებობები, საჭირო სოციალური კავშირები და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოება არსებობს იქ სადაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად თავისუფალი ინდივიდები მონაწილეობენ სახელმწიფო მართვაში და თვითორგანიზაციის გზით უზრუნველყოფენ გაცნობიერებული ინტერესების დაცვას.

REFERENCES/ლიტერატურა

"Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Teaching" (2010) chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://rm.coe.int/1680496561

Koghuashvili (2024); Paata Koghuashvili, Ioseb Archvadze, Givi Talakvadze. Eternal Georgian Village. - Tbilisi, "Meridiani", 2024.

Archvadze (2007); Ioseb Archvadze. The Middle Class in Georgia: Its Socio-Economic Role and Significance. On the Example of Georgia at the Beginning of the 21st Century "Economy of Georgia" 2007, No. 8, pp. 35-38.

Maghlakelidze (2019); Maghlakelidze A., Challenges of Middle Class Formation in Georgia in the Context of Entrepreneurship Development

Civic (2018); Civic Education and Democracy in Georgia: Challenges and Ways of Development, 2018, https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/project-result-content/302cfeb1-1f33-4067-ade5-a21b5d5b02e4/Challenges_and_pathways_for_promoting_Democratic_Principles_and_Civic_Education_in_Georgia.pdf

Otinashvili R., Veshapidze S., Gvarutsidze A., Abuselidze G., & Zoidze G. (2022). Modern Technologies to Overcome the Challenges of Globalization. Entrepreneurship (https://is-journal.com/is/about/submissions), CEEOL - Journal Detail)